

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Iv. Javakhishvili Tbilisi State University

**თინათინ კაჭარავა**  
**Tinatin Kacharava**

**B12 ვიტამინის დეფიციტის კავშირი**  
**ფარისებრი ჯირკვლის**  
**აუტოიმუნურ დაავადებებთან**

**Correlation between Vitamin B12**  
**Deficiency and Autoimmune Thyroid Diseases**

თბილისი 2022

Tbilisi 2022

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
მედიცინის ფაკულტეტი  
სადოქტორო პროგრამა „კლინიკური და ტრანსლაციური მედიცინა“

*ხელნაწერის უფლებით*

## **თინათინ კაჭარავა**

# **B12 ვიტამინის დეფიციტის კავშირი ფარისებრი ჯირკვლის აუტოიმუნურ დაავადებებთან**

მედიცინის დოქტორის აკადემიური  
ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი

**ავტორეფერატი**

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ელენე გიორგაძე

თბილისი  
2022



## აბსტრაქტი

ფარისებრი ჯირკვლის აუტოიმუნური დაავადებები (AITD) ყველაზე გავრცელებული ორგანო სპეციფიკური აუტოიმუნური დარღვევებია. B12 ვიტამინი მნიშვნელოვან როლს ასრულებს იმუნური სისტემის გამართულ ფუნქციონირებაში. ამრიგად, ამ კვლევის მიზანი იყო B12 ვიტამინის დეფიციტსა და AITD-ს შორის კორელაციის გამოკვლევა.

სულ 306 პაციენტი (18-65 წლის ასაკი, საშუალო –  $37.6 \pm 11.3$  წელი) და მათ შორის 87 მამაკაცი და 219 ქალი) შესწავლილ იქნა რეტროსპექტულად (დაკვირვების კვლევა).

პაციენტები დაიყო ჯგუფებად: B12 ვიტამინის დეფიციტით და მის გარეშე, ასევე AITD-ით და მის გარეშე. ჯგუფებს შორის განსხვავებები შეფასდა ფიშერის ზუსტი ტესტით თვისებრივი ცვლადებისთვის და სტუდენტის t-ტესტით რაოდენობრივი ცვლადებისათვის. რაოდენობრივი ფაქტორების კორელაციები განისაზღვრა პირსონის კორელაციის კოეფიციენტით, ხოლო ხარისხობრივი ფაქტორებისთვის – სპირმანის კორელაციის ანალიზი. B12 ვიტამინის დეფიციტის მგრძობელობა და სპეციფიკა AITD-სთვის გამოთვლილი იყო ROC ანალიზით.

B12 ვიტამინის დონე მნიშვნელოვნად დაბალი იყო AITD-ის მქონე პაციენტებში (და  $200.70 + 108.84$ ) კონტროლთან შედარებით ( $393.41 + 150.78$   $p < 0.0001$ )

B12 ვიტამინის დეფიციტის მქონე პაციენტებს ახასიათებდათ ანტი-TPO-ს მნიშვნელოვნად მაღალი საშუალო მნიშვნელობები (236.60 + 455.74) კონტროლთან შედარებით (39.51 + 165.57  $p < 0.0001$ ).

B12 ვიტამინის დონე საპირისპირო კორელაციაში იყო ანტი-TPO დონეებთან ( $r = -0.233$ ,  $p < 0.001$ ). B12 ვიტამინის როკ ანალიზმა, როგორც AITD-ის სადიაგნოსტიკო ტესტმა, მისცა მრუდის ქვეშ არსებული ფართობი, როგორც 0,881 (95%CI: 0,839-0,924), მგრძნობელობა – 0,947, სპეციფიკა – 0,768 და წყვეტის მნიშვნელობა – 178,9.

დასკვნა: B12 ვიტამინის დონე მნიშვნელოვან კორელაციაშია AITD-თან.

## აზრევიატურების ჩამონათვალი

- თირეოპეროქსიდაზას საწინააღმდეგო ანტისხეულები – anti-TPO
- აუტოიმუნური დაავადება – ADS
- ფარისებრი ჯირკვლის აუტოიმუნური დაავადება – AITD
- თავისუფალი თიროქსინი – FT4
- თირეოტროპული ჰორმონი – TSH
- B12 ვიტამინი – B12
- თირეოგლობულინის საწინააღმდეგო ანტისხეულები – anti-TG
- D ვიტამინის რეცეპტორი – VDR
- გრეივისის დაავადება – GD
- ჰაშიმოტოს თირეოდიტი – HT
- D3 ვიტამინი – 25(OH)D3

## საკვლევი პრობლემის აქტუალურობა

მსოფლიოში მუდმივად იზრდება აუტოიმუნური დაავადებების პროცენტულობა, ასევე მზარდია B12 ვიტამინის დეფიციტის ზრდა. აღნიშნულ საკითხზე ჩატარებულია სხვადასხვა სახეობის კვლევები მსოფლიოს მასშტაბით, რომელთა წყაროებიც გამოყენებულია ჩვენს განხილვაში. მსოფლიოს ინტერესი არ წყდება აუტოიმუნური დაავადებებისა და B12 ვიტამინის დეფიციტის მიმართ, ჯერ კიდევ საჭიროა უფრო ღრმა და ფართო მასშტაბიანი კვლევები, რომ მოხდეს გაიდლაინებში და რეკომენდაციებში მტკიცებითი ფორმულირების შეტანა. აღნიშნული ტიპის კვლევა პირველად ჩატარდა კავკასიელ მოსახლეობაში. კვლევის დიზაინში გათვალისწინებულია ყველა კრიტერიუმი რაც შეიძლება იწვევდეს B12 ვიტამინის დეფიციტს ( სხვა კვლევებისგან განსხვავებით გათვალისწინებულია დიაბეტი და მეტფორმინით თერაპიაც, როგორც B12 ვიტამინის დეფიციტის გამომწვევი მიზეზები) რათა გამორიცხული ყოფილიყო ცდომილება.

ვინაიდან გამოვლინდა დადებითი კორელაცია B12 ვიტამინის დეფიციტსა და ფარისებრი ჯირკვლის აუტოიმუნურ დაავადებას შორის, აღნიშნულ კორელაციას აქვს მაღალი პრაქტიკული ღირებულება, რადგან ფარისებრი ჯირკვლის აუტოიმუნური დაავადებების მქონე პაციენტებში სკრინინგულად უნდა მოხდეს B12 ვიტამინის განსაზღვრაც, თუმცა კვლევას თან ახლავს შეზღუდვები, რადგან ის ჩატარდა მხოლოდ ერთ კონკრეტულ კლინიკაში მცირე პოპულაციაზე, ამიტომ საჭიროა მეტად ფართომასშტაბი-

ანი კვლევები პროტოკოლებში და გაიდლაინებში ცვლილებების შესატანად.

ჩვენი კვლევის ჰიპოთეზა წარმოადგენდა: B12 ვიტამინის დეფიციტი ამჟღავნებს დადებით კორელაციას ფარისებრი ჯირკვლის აუტოიმუნური დაავადებების მქონე პაციენტებში.

### **კვლევის მიზანი:**

B12 ვიტამინის დეფიციტსა და AITD-ს შორის კორელაციის გამოკვლევა.

### **კვლევის ამოცანა:**

B12 ვიტამინის დეფიციტის მქონე პირებში შევისწავლოთ ფარისებრი ჯირკვლის აუტოიმუნური დაავადებების გავრცელების სიხშირე.

### **დასკვნები:**

B12 ვიტამინის დონე მნიშვნელოვნად არის დაკავშირებული აუტოიმუნური თიროედიტის არსებობასთან.

B12 ვიტამინის კონცენტრაცია უნდა განისაზღვროს აუტოიმუნური თირეოიდიტის მქონე პაციენტებში, რადგან ამ დიაგნოსტიკურ ტესტს აქვს მაღალი მგრძობელობა და სპეციფიკურობა.



## **დასაცავად გამოტანილი დებულება (დებულებები):**

1. B12 ვიტამინის დონე სისხლის შრატში ასოცირდება ფარისებრი ჯირკვლის აუტოიმუნური დაავადებების ეტიოპათოგენზთან.
2. B12 ვიტამინის დეფიციტი უარყოფით კორელაციაშია ფარისებრი ჯირკვლის აუტოიმუნურ დაავადებასთან.
3. D ვიტამინის დონე სისხლის შრატში არ ამჟღავნებს სარწმუნო კორელაციას ფარისებრი ჯირკვლის აუტოიმუნური დაავადებების გენზთან.

## სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა

B12 ვიტამინის აღმოჩენა, მეტაბოლიზმში მისი როლის გარკვევა გრძელდებოდა დაახლოებით 100 წელი და დაყოფილია ორ ფაზად, რომლებზეც მიიღეს ორი ნობელის პრემია სხვადასხვა დროს.

XIX საუკუნეში პერნიციოზული ანემიის მკურნალობაში მნიშვნელოვანი აღმოჩენისთვის მინოტმა და მერფმა მიიღეს ნობელის პრიზი. ეს მკვლევარები არ იყვნენ პირველები ვინც მიიჩნიეს, რომ საკვები ნივთიერებების არასაკმარისობა იყო პერნიციოზული ანემიის მიზეზი, მაგრამ დაადგინეს, რომ მდგომარეობა უმჯობესდებოდა სპეციალური დიეტის დროს, რომელიც შეიცავდა დიდი რაოდენობით ღვიძლს.

მრავალი კვლევის შემდეგ მეცნიერმა კასტლმა აღმოაჩინა ცილა შინაგანი ფაქტორი, რომლის დეფიციტიც იყო პერნიციოზული ანემიის დროს. წლების შემდეგ კი აღნიშნული შინაგანი ფაქტორი აღმოჩნდა – გლიკოპროტეინი, რომელიც უკავშირდება B12 ვიტამინს და ქმნის კომპლექსს, რის შემდეგაც ხდება B12 ვიტამინის შეწოვა წვრილ ნაწლავში. ვიტამინი იზოლირებულ იქნა ორი ჯგუფის მიერ, იქნა კრისტალიზებული და აღწერილი დოროთე ჰოჯკინის ლაბორატორიაში, რის გამოც მან 1964 წელს მან მიიღო ნობელის პრემია. შემდგომ წლებში გაირკვა მისი კავშირი ნეიროპათიასთან, რამაც გამოიწვია დამბლა და სიკვდილი, ხოლო პოსტმოკემის ანალიზმა აჩვენა ზურგის ტვინის დემიენილიზაცია

ვიტამინ B12 დეფიციტის მქონე პაციენტებში. ამჟამად ვიტამინი B12 კვლავ ინტენსიური გამოკვლევის საგანად რჩება მედიცინა-ში. 1850 იან წლებში ინგლისელმა ექიმმა თომას ადისონმა აღწერა ანემიის ლეტალური ფორმა (პერნიციოზული ანემია), რომელიც სავარაუდოდ დაკავშირებული უნდა ყოფილიყო კუჭის კედელში არსებულ პათოლოგიასთან.

B12 ვიტამინის ისტორია იწყება მე-19 საუკუნის შუაში, როდესაც აღწერეს დაავადება – პერნიციოზული ანემია. 1934 წელს ექიმებმა ჯორჯ მაიკოტმა და უილიამ პარი მორფმა მიიღეს ნობელის პრემია, რადგან აღმოაჩინეს B12 ვიტამინის სამკურნალო თვისებები, მხოლოდ 12 წლის შემდეგ კი მოხდა მისი ხმარებაში შემოღება.

B12 ვიტამინი არის წყალში ხსნადი და ეფექტურია მცირე დოზებით, ცნობილია როგორც „წითელი ვიტამინი“ და ციანკობალამინი, ერთადერთი ვიტამინია რომელიც შეიცავს შეუცვლელ მინერალურ ელემენტებს (კობალტი). არსებობს შემდეგი ფორმებით: ოქსიკობალამინი, მეთილკობალამინი, ადენოზინკობალამინი, ყველა ამ ფორმას შეუძლია გარდაიქმნას ერთმანეთში. იზომება მიკროგრამებში.

კობალამინს აქვს ყველაზე რთული ქიმიური აგებულება სხვა ვიტამინებთან შედარებით. არსებობს B12 ვიტამინის ქიმიური ნაერთის ორი ვარიანტი: ციანოკობალამინის და ჰიდროქსიკობალამინის. კარგად იხსნება წყალში, პრაქტიკულად არ იშლება ხანგრძლივი თერმული დამუშავების შედეგად.

B12 ვიტამინი მარაგდება ღვიძლში, მცირე რაოდენობით B12 ვიტამინს ასინთეზირებს ღვიძლის მიკროფლორა. B12 ვიტამინზე დღიური მოთხოვნილება: რეკომენდებული დღიური დოზა მოზრდილებისთვის დაახლოებით 3 მიკროგრამი.

B12 ვიტამინის სასარგებლო თვისებები: მთავარი სარგებელი კობალამინის არის ერთროციტების სინთეზში მონაწილეობა, ის აუცილებელია უჯრედების დაყოფის პროცესში, მონაწილეობას ღებულობს სისხლმბარი ორგანოების, კუჭ-ნაწლავის სისტემის და იმუნური სისტემის ფუნქციონირებაში, ასევე მას აქვს შეუცვლელი ფუნქცია ნერვული სისტემის ჩამოყალიბებაში. ამცირებს გალიზიანებადობას, ხელს უწყობს ნერვული სისტემის სწორ და გამართულ ფუნქციონირებას. ამლიერებს მადას, ზრდის ენერგიას, ზრდის კონცენტრაციის უნარს, მეხსიერებას და წონასწორობის შენარჩუნებას უწყობს ხელს. ქალებისთვის B12 ვიტამინი სასარგებლოა პრემენსტრუალურ და მენსტრუალურ პერიოდებში.

B12 ვიტამინი მოიხსენიება ასევე როგორც ციანკობალამინი. B12 ვიტამინი სინთეზირდება მხოლოდ გარკვეულ ბაქტერიებში. B12 ვიტამინს შეიცავს ცხოველური საკვები (მაგალითად, ხორცი, რძე, კვერცხი, თევზი, მცენარეული საკვები არ ითვლება B12 ვიტამინის ძირითად წყაროდ. თუმცა როგორცაა საკვები წყალმცენარეები ან ლურჯმწვანე წყალმცენარეები (ციანობაქტერია), შეიცავს დიდი რაოდენობით B12 ვიტამინი.

B12 ვიტამინის შეწოვა მიმდინარეობს ორგანიზმში ეტაპობრივად. საკვებიდან გამოთავისუფლებული B12 ვიტამინი პირვე-

ლად ემბმევა ჰაპტოკორინს (ნერწყვის B12 ვიტამინ ბმადი პროტეინი). კუჭში როდესაც მოხდება პროტეილიზი ჰაპტოკორინ B12 ვიტამინის ნაერთისა, თორმეტგოჯაში პანკრეასული პროტეაზას მიერ, გამოყოფილი B12 მიუერთდება კუჭის ვიტამინ B12-ის ბმად პროტეინს პროქსიმალურ წვრილ ნაწლავში. ჯანმრთელს ადამიანებში მიღებული B12 ვიტამინის 50 % შეიწოვება.

B12 ვიტამინი დეფიციტის ეპიდემიოლოგია განსხვავდება ეტიოლოგიის მიხედვით. ზოგადად პოპულაციაში, ზოგიერთმა კვლევამ აჩვენა, რომ ანემიის მქონე პაციენტთა შორის, დაახლოებით 1%-დან 2% არის გამოწვეული B12-ის დეფიციტით. სხვა კვლევებმა აჩვენა, რომ კლინიკურმა კრიოციტოზით დაავადებულ პაციენტებს შორის (განსაზღვრულია როგორც MCV > 100), 18-20%-მდე განპირობებულია B12 დეფიციტით. ვიტამინის B12 დეფიციტი უფრო ხშირია ხანდაზმულებში, მიუხედავად გამოწვეული მიზეზისა.

ვიტამინ B12 დეფიციტს აქვს 3 ძირითადი ეტიოლოგია: აუტოიმუნური – პერნიციოზული ანემია არის აუტოიმუნური მდგომარეობა, რომლის დროსაც წარმოიქმნება ანტისხეულები ცილა – შინაგანი ფაქტორის მიმართ (რომელიც საჭიროა B12 ვიტამინის შეწოვისთვის), მალაბსორბცია: კუჭში მდებარე პარიეტული უჯრედები წარმოქმნიან შინაგან ფაქტორს, ამრიგად, კუჭის შემოვლითი ოპერაციის ისტორიის მქონე ნებისმიერ პაციენტს შესაძლებელია განუვითარდეს ვიტამინ B12 დეფიციტი. პაციენტებში, რომლებსაც აქვთ ტერმინალური ილეუმის ნებისმიერი დაზიანე-

ბა, მაგალითად, კრონის დაავადების გამო ჩაუტარდათ ქირურგიული რეზექცია, ხდება B12-ის შეწოვის შეფერხება და ვითარდება მისი დეფიციტი. ასევე წვრილი ნაწლავის სხვა დაზიანებებმა, მაგალითად, ცელიაკია და ასევე ზოგიერთმა ინფექციამ შეიძლება გამოიწვიოს B12 დეფიციტი, ასევე კვებისმიერი უკმარისობა: ვიტამინი B12 ინახება ღვიძლში, ამასთან, პაციენტებმა, რომლებმაც დაახლოებით სამი წლის განმავლობაში დაიცვეს მკაცრი ვეგანური დიეტა, შეიძლება განუვითარდეთ B12-ის დეფიციტი.

B12 ვიტამინის დეფიციტის კლინიკური სურათი ძირითადად მოიცავს ნევროლოგიურ და ჰემატოლოგიურ გამოვლინებებს. ჰემატოლოგიური გამოვლინებები მოიცავს მაკროციტოზს და მეგალობლასტურ ანემიას, რომლებიც შეიძლება ასოცირდებოდეს შემდეგ დარღვევებთან: პანციტოპენია, გლოსიტი, კუჭ-ნაწლავის დისფუნქცია, ფსიქოზი ან ნევროლოგიური დარღვევები.

ნევროლოგიური ნიშნებმა და სიმპტომებმა შეიძლება მრავალი ფორმა მიიღოს, მათ შორის პერიფერიული ნეიროპათია რომელიც ზოგადად ვლინდება როგორც პარესთეზია, ოპტიკური ნეიროპათია ფსიქიატრიული დარღვევები, როგორცაა ქრონიკული დაღლილობის სინდრომი, ფსიქოზი, განწყობის დარღვევები ან დეპრესიული სიმპტომები. ვიტამინ B12-ის უკმარისობამ შეიძლება გამოიწვიოს ნაწლავის მუშაობის დარღვევა, რაც გამოიხატება როგორც ზომიერი ყაბზობა ან დიარეა, ასევე შეიძლება განვითარდეს სწორი ნაწლავის ან შარდის ბუშტის კონტროლის დაკარგვა. დეფიციტმა შეიძლება შეაფერხოს იმუნური სისტემის

რეაქცია და ასევე შესაძლებელია გამოიწვიოს ძვლის მინერალების სიმკვრივის დაქვეითება.

ვიტამინი B12-ის დეფიციტი არის საერთო მდგომარეობა, რომლის დროსაც კლინიკური გამოვლინებები შესაძლოა მერყეობდეს: არასპეციფიკური კლინიკური სიმპტომებიდან, განსაკუთრებით მძიმე ნევროლოგიური ან ჰემატოლოგიური გამოვლინებების ჩათვლით. მიუხედავად იმისა, რომ კლასიკურად B12 ვიტამინის დეფიციტი არის განპირობებული პერნიციოზული ანემიით, ახლა ვიტამინ B12 დეფიციტის შემთხვევათა უმეტესობას წარმოადგენს მისი დეფიციტი გამოწვეული კობალამინის მალაბსორბციის გამო. ვინაიდან დიაგნოზის დაგვიანებამ შეიძლება გამოიწვიოს სერიოზული გართულებები, მათ შორის ზურგის ტვინის დეგენერაცია და პანციტოპენია, B12 ვიტამინის დეფიციტის დიაგნოზი დასმა და სათანადო მართვა უნდა მოხდეს ადრეულ ეტაპზე გართულებების თავიდან აცილების მიზნით.

ვიტამინი B12 (კობალამინი) დეფიციტი არის მაკროციტური ანემიის საერთო მიზეზი და ჩართულია ნეიროფსიქიატრიული დარღვევების სპექტრში. B12 დეფიციტის როლი ჰიპერჰომოცისტეინემიაში და ათეროსკლეროზის პროპაგანდაში მხოლოდ ახლა არის შესწავლილი. ვიტამინის B12 დეფიციტის დიაგნოზი, როგორც წესი, ეფუძნება შრატში ვიტამინის B12 დონის გაზომვას; თუმცა, სუბკლინიკური დაავადების მქონე პაციენტების დაახლოებით 50 პროცენტს აქვს ნორმალური B12 დონე. ვიტამინის B12 დეფიციტის სკრინინგის უფრო მგრძობიარე მეთოდია შრატ-

ში მეთილმალონის მჟავისა და ჰომოცისტეინის დონის გაზომვა, რომლებიც იზრდება ვიტამინის B12 დეფიციტის დასაწყისში. შილინგის ტესტის გამოყენება პერნიციოზული ანემიის გამოსავლენად უმეტესწილად ჩანაცვლდა პარიეტალური უჯრედისა და შინაგანი ფაქტორის ანტისხეულების სეროლოგიური ტესტირებით.

შესავალი გასული ათწლეულის განმავლობაში, განსაკუთრებით კი ბოლო წლებში, მკვეთრად გაიზარდა ინტერესი ასევე D ვიტამინის მიმართ, ბიოსამედიცინო სამყაროში.

ვიტამინი D არის ერთ-ერთი უძველესი ჰორმონი, მცენარეთა და ცხოველთა უმეტესობას, რომლებიც ექვემდებარებიან მზის სხივებს, აქვთ უნარი გამოიმუშაონ D ვიტამინი. ვიტამინი D კრიტიკულად მნიშვნელოვანია ზრდისა და განვითარებისთვის, ასევე ჯანსაღი ძვლების შენარჩუნებისთვის დაბადებიდან სიკვდილამდე.

სტეროიდული ჰორმონი ვიტამინი D საჭიროა ნორმალური კალციუმის და ფოსფორის მეტაბოლიზმისთვის და, შესაბამისად, მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს კუნთოვანი სისტემის ჯანმრთელობაში. ბოლო მონაცემებით D ვიტამინის დაბალი დონე დაკავშირებულია: ავთვისებიან დაავადებებთან, გულ-სისხლძარღვთა დაავადებებთან, აუტოიმუნურ დაავადებებისა და ინფექციების ზრდასთან. D ვიტამინის ადექვატური დონე ნარჩუნდება მისი კანში ფოტოსინთეზისა და პერორალური მიღების გზით. ზოგიერთი შეფასებით, მსოფლიოში ერთ მილიარდ ადამიანს აქვს D ვიტამინის დეფიციტი ან უკმარისობა.



ვიტამინი D არის მზის შუქის ვიტამინი, რომელიც წარმოიქმნება დედამიწაზე 500 მილიონ წელზე მეტი ხნის განმავლობაში. მზის სხივების ზემოქმედების დროს კანში მყოფი 7-დეჰიდროქოლესტერინი შთანთქავს UV B გამოსხივებას და გარდაიქმნება პრე-ვიტამინ D3-ად, რომელიც თავის მხრივ იზომერირდება ვიტამინ D3-ად. პრევიტამინი D3 და ვიტამინი D3 ასევე შთანთქავენ UV B გამოსხივებას და გარდაიქმნება მრავალფეროვან ფოტოპროდუქტად, რომელთაგან ზოგიერთს აქვს უნიკალური ბიოლოგიური თვისებები. მზისგან გამოწვეული D ვიტამინის სინთეზზე დიდ გავლენას ახდენს სეზონი, დღის დრო, გრძედი, სიმაღლე, ჰაერის დაბინძურება, კანის პიგმენტაცია, მზისგან დამცავი საშუალებების გამოყენება, მინისა და პლასტმასის გავლა და დაბერება. ვიტამინი D ღვიძლში და თირკმელებში თანმიმდევრულად მეტაბოლიზდება 25-ჰიდროქსივიტამინ D-ად, რომელიც არის ძირითადი ცირკულირებადი ფორმა და 1,25-დიჰიდროქსივიტამინ D, რომელიც ბიოლოგიურად აქტიური ფორმაა შესაბამისად. 1,25-დიჰიდროქსივიტამინი D მნიშვნელოვან როლს ასრულებს კალციუმის და ფოსფატის მეტაბოლიზმის რეგულირებაში მეტაბოლური ფუნქციების შესანარჩუნებლად და ჩონჩხის ჯანმრთელობისთვის.

ახლა საყოველთაოდ აღიარებულია, რომ D ვიტამინის დეფიციტი არის ჯანმრთელობის პრობლემა, რომელიც გავლენას ახდენს არა მხოლოდ კუნთოვანი სისტემის ჯანმრთელობაზე, არამედ მწვავე და ქრონიკული დაავადებების ფართო სპექტრზე. თუმცა, რჩება ცინიზმი რანდომიზებული კონტროლირებადი კვლევების

ბის არარსებობის შესახებ, რომლებიც მხარს უჭერენ ასოციაციის კვლევებს D ვიტამინის არაჩონჩხის ჯანმრთელობის სარგებელთან დაკავშირებით.

სტეროიდული ჰორმონი ვიტამინი D საჭიროა ნორმალური კალციუმის და ფოსფორის მეტაბოლიზმისთვის და, შესაბამისად, მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს კუნთოვანი სისტემის ჯანმრთელობაში. ბოლო მონაცემებით D ვიტამინის დაბალი დონე აკავშირებს დაავადებებს ფართო სპექტრს, მათ შორის კიბოს, გულ-სისხლძარღვთა დაავადებებს, აუტოიმუნურ დაავადებებს და ინფექციებს. D ვიტამინის ადექვატური დონე შენარჩუნებულია მისი კანის ფოტოსინთეზისა და პერორალური მიღების გზით. ზოგიერთი შეფასებით, მსოფლიოში ერთ მილიარდ ადამიანს აქვს D ვიტამინის დეფიციტი ან უკმარისობა. მთელი რიგი ფაქტორები გავლენას ახდენენ D ვიტამინის ფოტოსინთეზზე და ბიომედიკალურ დაავადებაზე და ხელს უწყობენ D ვიტამინის სტატუსის დარღვევის რისკს. ეს ფაქტორები მოიცავს მზის ზემოქმედების ცვალებადობას გრძელი, სეზონი, დღის დრო, ატმოსფერული კომპონენტები, ტანსაცმელი, მზისგან დამცავი საშუალებების გამოყენება და კანის პიგმენტაცია, ასევე ასაკი, სიმსუქნე და რამდენიმე ქრონიკული დაავადების სიხშირე.

ახლა უკვე ნათელია, რომ D ვიტამინს აქვს მნიშვნელოვანი როლი კალციუმის და ძვლის ჰომეოსტაზზე კლასიკური ზემოქმედების გარდა. ვინაიდან D ვიტამინის რეცეპტორი გამოხატულია იმუნურ უჯრედებზე (B უჯრედები, T უჯრედები და ანტიგენის

წარმომადგენლობითი უჯრედები) და ამ იმუნოლოგიურ უჯრედებს შეუძლიათ D ვიტამინის აქტიური მეტაბოლიტის სინთეზირება, D ვიტამინს აქვს უნარი იმოქმედოს ავტოკრინული გზით. ადგილობრივ იმუნოლოგიურ გარემოში. D ვიტამინს შეუძლია მოახდინოს თანდაყოლილი და ადაპტური იმუნური რეაქციების მოდულირება. D ვიტამინის დეფიციტი ასოცირდება აუტოიმუნიტეტის მატებასთან და ინფექციისადმი მგრძობელობის გაზრდასთან. ვინაიდან აუტოიმუნურ დაავადებებში იმუნური უჯრედები რეაგირებენ D ვიტამინის გამაუმჯობესებელ ეფექტებზე, აუტოიმუნური დაავადების მქონე პირებში D ვიტამინის დეფიციტის შემავსებლის სასარგებლო ეფექტები შეიძლება გასცდეს ძვლისა და კალციუმის ჰომეოსტაზზე ზემოქმედებას.

მსოფლიოში რადგან მუდმივად მზარდია აუტოიმუნური დაავადებების რეგისტრი, ასევე არ წყდება მედიცინის ინტერესი იმუნური სისტემის მიმართ.

საუკუნის წინ იმუნური სისტემა იდენტიფიცირდა როგორც დამცავი ფაქტორი ინფექციური დაავადებებთან ბრძოლის დროს. ამჟამინდელი განმარტებები და სახელმძღვანელოების ინფორმაცია ეყრდნობა არსებულ ადრეულ დაკვირვებებს, სადაც იმუნური სისტემა ჩვეულებრივ წარმოდგენილია თავდაცვის აპარატად. საკუთარი ორგანიზმის დაცვა იმუნური სისტემის საერთო ფუნქციის მხოლოდ ერთი გამოვლინებაა ქსოვილების ჰომეოსტაზის შენარჩუნებაში. სინამდვილეში, იმუნური სისტემა არის ფუნდამენტური ფიზიოლოგიური პროცესების განუყოფელი ნაწილი, როგორცაა

განვითარება, რეპროდუქცია და ჭრილობების შეხორცება და ასევე აშკარაა იმუნურ სისტემასა და სხეულის სხვა სისტემებს შორის, როგორცაა მეტაბოლიზმი, ცენტრალურ ნერვულ სისტემასა და გულ-სისხლძარღვთა სისტემას შორის მჭიდრო კავშირი. კვლევების სფეროებში გაფართოებული სპექტრით იწყება იმუნური სისტემის შედეგების ამოცნობა მედიცინის სხვადასხვა სფეროებში.

B12 ვიტამინი მნიშვნელოვან როლს ასრულებს იმუნური სისტემის სწორად მუშაობაში. მეთიონინის სინთაზა, რომელიც იყენებს მეთილკობალამინს როგორც კოფაქტორს, შეუცვლელია პურინებისა და პირამიდინების სინთეზისთვის ყველა უჯრედში იმუნური უჯრედების ჩათვლით. არაერთმა კვლევამ (როგორც ადამიანში, ასევე ცხოველურ მოდელებზე) აღნიშნა B12 ვიტამინის როლი ორგანიზმის იმუნურ პასუხში. B12 ვიტამინის დეფიციტის დროს შემცირებულია ლიმფოციტების რაოდენობა და გართულებულია NK უჯრედების მუშაობის უნარი.

დადგენილია, რომ რთულ, ინტეგრირებულ იმუნურ სისტემას ესაჭიროება მრავალი სპეციფიკური მიკროელემენტი, მათ შორის ვიტამინები A, D, C, E, B6 და B12, ფოლატი, თუთია, რკინა, სპილენძი და სელენი, რომლებიც ასრულებენ მნიშვნელოვან, ხშირად სინერგიულ როლს. იმუნური პასუხის ყველა ეტაპზე. კონკრეტულად B ვიტამინები მონაწილეობენ ნაწლავის იმუნური რეგულირების პროცესში. მაგ., ლიმფოციტების მიგრაციით ნაწლავში – ვიტამინი B6 შემთხვევაში, ხოლო ფოლატი აუცილებელია T უჯრედების რეგულაციისთვის წვრილ ნაწლავში, ხოლო ნაწლავ-

ვის მიკრობები იყენებენ ვიტამინ B12-ს, როგორც კოფაქტორს, რითაც B12 მხარს უჭერს ნაწლავის ბარიერულ ფუნქციას.

ეპიდემიოლოგიური მონაცემებით დადასტურებულია ბოლო ათწლეულების მანძილზე აუტოიმუნური დაავადების მუდმივი ზრდა. მრავალი პუბლიკაცია არსებობს, სადაც აღწერილია ინდივიდუალური აუტოიმუნური დაავადებების incidence / პრევალენტობა, თუმცა, მონაცემები გრძელვადიანი კვლევების შესახებ მწირია\_მიზნები: გამოვთვალოთ აუტოიმუნური დაავადებების სიხშირე წელიწადში %, ზრდის მაჩვენებლები, გაანალიზდეს დიფერენციალური მატება ქვეყნებში დადადგინდეს გეოეპიდემიოლოგიური ტენდენციები. მეთოდები: ჩატარდეს სისტემური მიმოხილვა აუტოიმუნური დაავადებების შემთხვევების და გავრცელების დადგენის მიზნით. ბოლო 30 წლის განმავლობაში ჩატარებული 30 კვლევა გამოვლენილი იქნა Medline, Google და Cochrane ბიბლიოთეკის მონაცემთა ბაზების გამოყენებით. სხვადასხვა ქვეყნების მიხედვით ფიქსირდება სხვადასხვა აუტოიმუნური დაავადების სიხშირის ზრდა, მაგრამ ჯამურად მთელს მსოფლიოში ყოველწლიურად ხდება აუტოიმუნური დაავადებების მატება. აუტოიმუნური დაავადებები წარმოადგენს მინიმუმ 80 დაავადების მქონე ოჯახს, რომლებიც იზიარებენ საერთო პათოგენეზს: იმუნური შუამავლობით ხდება შეტევა საკუთარ ორგანოებზე. ამერიკაში აუტოიმუნური დაავადებებით დაავადებულია დაახლოებით 20 მილიონი მოსახლე – ძირითადად ქალები. აუტოიმუნური დაავადებების შემთხვევების სიხშირე მუდმივად იზრდება ინდუსტრი-

ულ ქვეყნებში. აუტოიმუნური დაავადებების მკურნალობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა XX საუკუნის მეორე ნახევარში, მაგრამ შეფერხდა, რადგან დაავადება ხშირად პროგრესირებს კლინიკური დიაგნოზის დასმამდე. 21-ე საუკუნეში ჩატარებული კვლევები ფოკუსირებულია სისტემური ბიოლოგიური ინსტრუმენტების გამოყენებით.

იმუნური სისტემის დარღვევები იწვევს იმუნური სისტემის არანორმალურად დაბალ აქტივობას ან პირიქით\_აქტივობის მატებას. იმუნური სისტემის მაღალი აქტივობის დროს, ორგანიზმი საკუთარ სხეულს უტევს დააზიანებს საკუთარ ქსოვილებს (აუტოიმუნური დაავადებები). იმუნოდეფიციტური დაავადებები ამცირებს ორგანიზმის პათოგენებთან ბრძოლის შესაძლებლობებს. უცნობი მოქმედების საპასუხოდ, იმუნურმა სისტემამ შეიძლება დაიწყოს ანტისხეულების წარმოება, რომლებიც ინფექციების წინააღმდეგ ბრძოლის ნაცვლად, თავს ესხმიან საკუთარი სხეულის ქსოვილებს – აუტოიმუნური დაავადებები. მათი მკურნალობა ზოგადად ფოკუსირებულია იმუნური სისტემის აქტივობის შემცირებაზე.

აუტოიმუნურ დაავადებებს შორის პირველია ფარისებრი ჯირკვლის აუტოიმუნური დაავადებები. სხვა აუტოიმუნური დაავადებები, განსაკუთრებით შაქრიანი დიაბეტი ტიპის 1 ის განვითარების რისკი ინფიცირების დროს იზრდება. უცნობია, მიჰყვება თუ არა აუტოიმუნური ფარისებრი ჯირკვლის დაავადებები იმავე შაბლონს. აუტოიმუნური თირეოიდული დაავადების შემ-

თხვევები ამჟამად უფრო მაღალია, ვიდრე წინა ათწლეულებში, თუმცა კვლევები იმდენად ცვალებადია დიზაინში, პაციენტთა პოპულაციაში, დაავადებათა განსაზღვრასა და ლაბორატორიულ მეთოდებში, შეუძლებელია იმის გარკვევა, რამდენად რეალურია ეს განსხვავება. შემდგომი კვლევებია საჭირო, რათა შეფასდეს აუტოიმუნური ფარისებრი ჯირკვლის დაავადების ხასიათის და დიაგნოსტიკურ კრიტერიუმებში ცვლილება.

ორგანო სპეციფიკურ აუტოიმუნურ დაავადებებს შორის (ADS) ყველაზე გავრცელებულია ფარისებრი ჯირკვლის აუტოიმუნური დაავადებები (AITD) იგი გავლენას ახდენს მოსახლეობის 2 – 5%, სქესზე დიდი ცვალებადობით (მაგ., ქალები 5-15% დამამაკაცები 1-5%). AITD მოიცავს გრეივისის დაავადებას (GD) და ჰაშიმოტოს თირეოიდიტს (HT). HT და GD ჰიპოთირეოზის და ჰიპერთირეოზის ძირითადი მიზეზებია. ისინი ავლენენ იმუნოლოგიური ტოლერანტობის დაკარგვას და ხდება ფარისებრი ჯირკვლის ქსოვილის საწინააღმდეგო უჯრედული და ჰუმორული იმუნური რეაქციის არსებობა T უჯრედებისა და B უჯრედების რეაქტიული ინფილტრაციით, აუტოანტისხეულების გამომუშავებით და, შემდგომში, კლინიკური გამოვლინებების არსებობა/არარსებობით. TPOAb და TgAb არის ფარისებრი ჯირკვლის ყველაზე გავრცელებული აუტოანტისხეულები, რომლებიც AITD-ს პაციენტებში გვხვდება და მიმართულია თირეოციტების საწინააღმდეგოდ.

ვარაუდობენ, რომ პაციენტებს აუტოიმუნური თირეოიდიტით უნდა ჰქონდეთ B12 ვიტამინის დეფიციტი. ამ ვიტამინის

დეფიციტი ჰაშიმოტოს თირეოიდიტიან პაციენტებში აღწერა Ness – Abramof et al. აუტოიმუნური თირეოიდიტით დაავადებულ 115 პაციენტში აღმოაჩინეს შემცირებული დონე ვიტამინი B12 ისა პაციენტების 28% ში. არსებობს კორელაციური მონაცემები ჰაშიმოტოს თირეოიდიტსა და ატროფიულ გასტრიტს შორის, რომელიც დადასტურებულია Centanni et al ის კვლევაში სადაც აუტოიმუნური თირეოიდიტით დაავადებულ პაციენტების 35% აღნიშნებოდა ატროფიული გასტრიტი. მეცნიერებმა აღმოაჩინეს ასევე კორელაცია აუტოიმუნური თირეოიდიტსა და B12 ვიტამინის დეფიციტს შორის.

ფარისებრი ჯირკვლის დაავადებებს შორის ყველაზე ხშირად ჰაშიმოტოს თირეოიდიტის მქონე პაციენტებში (დაახლოებით 10-40%) აღინიშნება კუჭნაწლავს ტრაქტის მუშაობის დარღვევები. ანალოგიურად, ჰაშიმოტოს თირეოიდიტი გვხვდება ატროფიული გასტრიტით დაავადებულთა თითქმის 40%-ში. ასოციაცია ქრონიკულ ატროფიულ გასტრიტსა და ფარისებრი ჯირკვლის აუტოიმუნურ დაავადებას შორის, პირველად აღწერილია 1960-იანი წლების დასაწყისში, როგორც «თიროგასტრული სინდრომი». ბოლო დროს, იგი მოიცვა სახელმა: პოლიგლანდულური აუტოიმუნური სინდრომი ტიპი IIIb, რომელშიც აუტოიმუნური თირეოიდიტი არის ძირითადი დაავადება. ვიტამინი B12-ის დეფიციტი ხშირია ფარისებრი ჯირკვლის აუტოიმუნურ დაავადებებში, ძირითადად წარმოდგენილია ჰიპოთირეოზით და გრეივსით დაავადებულ პაციენტებში – 28-55%.



B12 ვიტამინის უკმარისობა დაფიქსირებულია პაციენტებში, ფარისებრი ჯირკვლის აუტოიმუნური დარღვევებით. ამასთან, არსებობს შეზღუდული მონაცემები დაბალი B12-ის ზუსტი გავრცელების და ამ კორელაციის შესახებ ანტი-თიროპეროქსიდაზას ანტისხეულების დონეზე ამ პაციენტებში. აღმოჩნდა, რომ B12 ვიტამინის დეფიციტი და ვიტამინ D-ს უკმარისობა ასოცირდება აუტოიმუნურ ჰიპოთირეოზთან და ამ პაციენტებში არსებობს ნეგატიური კორელაცია B12 ვიტამინსა და ვიტამინ D-ს დონეზე და ანტი-TPO ანტისხეულებთან.

ჰაშიმოტოს თირეოიდიტი არის აუტოიმუნური ფარისებრი ჯირკვლის დარღვევების ვარიანტი, რომელიც ასოცირდება D ვიტამინის დეფიციტთან. ამასთან, უკავშირდება თუ არა ვიტამინ D-ს დამატება ფარისებრი ჯირკვლის ანტისხეულების შემცირებასა და ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციის გაუმჯობესებას, კარგად არ არის დახასიათებული. ვიტამინ D-ს დეფიციტი მნიშვნელოვნად არის გავრცელებული აღმოსავლეთ ინდოეთში ჰაშიმოტოს თირეოიდიტიან პაციენტებში და მისმა დამატებებმა ამ პაციენტებში არ გამოავლინა რაიმე სასარგებლო გავლენა ფარისებრი ჯირკვლის აუტო იმუნიტეტზე, რასაც მოწმობს ანტი-TPO ანტისხეულების ტიტრის მნიშვნელოვანი ზრდა, თუმცა TSH დონის მნიშვნელოვანი შემცირებაა. B12 ვიტამინის დეფიციტის გავრცელება ჰიპოთირეოზისა და ფარისებრი ჯირკვლის აუტოიმუნური დაავადების დროს ასახავს მოსახლეობის კვების სტატუსს. ფარისებრი ჯირკვლის აუტოიმუნური დაავადება ასევე ასოცირდება აუტოიმუნურ

დარღვევებთან პერნიციულ ანემიასთან და ატროფიულ გასტრიტთან, რამაც შეიძლება გამოიწვიოს B12 ვიტამინის მალაბსორბცია. B12 ვიტამინის სკრინინგი რეკომენდირებულია ფარისებრი ჯირკვლის აუტოიმუნური დაავადების საწყისი დიაგნოზის დროს და შემდეგ პერიოდულად. არ არის საკმარისი მტკიცებულება ჰიპოთირეოზის მქონე პაციენტებისთვის რეგულარული სკრინინგის რეკომენდაციისთვის, თუ გამომწვევი მიზეზი არ არის ფარისებრი ჯირკვლის აუტოიმუნური დაავადება.

ამჟამინდელი მტკიცებულება ვარაუდობს, რომ D ვიტამინის დამატებამ შეიძლება შეამციროს შრატის TPO-Ab და Tg-Ab ტიტრები AIT-ით დაავადებული პაციენტების მოკლევადიან პერიოდში (დაახლოებით ექვსი თვის განმავლობაში). საჭიროა მეტი მაღალი ხარისხის კვლევები ეფექტების შემდგომი დასადასტურებლად, განსაკუთრებით D ვიტამინის დანამატების გრძელვადიანი ეფექტი ფარისებრი ჯირკვლის აუტოანტისხეულების დონეზე AIT-ის მკურნალობაში. B12 ვიტამინის დეფიციტი და D ვიტამინის დეფიციტი ასოცირებული იყო აუტოიმუნურ ჰიპოთირეოზთან და რომ არსებობდა უარყოფითი კორელაცია ვიტ-B12 და ვიტ-D დონეებსა და ანტი-TPO ანტისხეულებს შორის ამ პაციენტებში. დასკვნა: აუტოიმუნური ჰიპოთირეოზის მქონე პაციენტებში D ვიტამინის და B12 ვიტამინის დეფიციტი უნდა იყოს გამოკვლეული დიაგნოზის დროს და პერიოდულად შემდგომი დაკვირვების დროს.

მკვლევარებმა აღნიშნეს, რომ აუტოიმუნური დაავადებების შემთხვევები, როგორცაა ჰაშიმოტოს თირეოიდიტი, საგრძნობ-

ლად უფრო მაღალია ქალებში, ვიდრე მამაკაცებში, მაგრამ დღემდე ამ განსხვავების მიზეზი გაურკვეველია. D ვიტამინის ბირთვული რეცეპტორი (VDR) გამოხატულია ადამიანის ციკლურ ენდომეტრიუმში. იმის გამო, რომ VDR აკონტროლებს კათელიციდინისა და  $\beta$ -დეფენსინის ანტიმიკრობული პეპტიდების (AmPs) ექსპრესიას, რეცეპტორის დისრეგულაცია მნიშვნელოვნად არღვევს თანდაყოლილ იმუნურ პასუხს.

## მასალა და მეთოდები

რეტროსპექტულად შევისწავლეთ საქართველოს ენდოკრინოლოგიის ეროვნულ ინსტიტუტში 2017-დან 2019 წლამდე შემოსული 306 პაციენტი (18-65 წელი, საშუალო ასაკი –  $37,6 \pm 11,3$ ; 87 – მამაკაცი და 219 ქალი) აუტოიმუნური თირეოიდიტის დიაგნოზით მათ შორის 87 (28.4%) – მამაკაცი და 219 (71.6%) – ქალი.

კვლევა მიმდინარეობდა ორი მიმართულებით, ჯერ ერთმანეთს შევადარეთ პაციენტები აუტოიმუნური თირეოიდიტით და აუტოიმუნური თირეოიდიტის გარეშე, ხოლო შემდეგ B12 ვიტამინის დეფიციტით და დეფიციტის გარეშე. მათ შორის კავშირის დასადგენად ჩავატარეთ კორელაციური და რეგრესიული ანალიზი.

## სტატისტიკური ანალიზი

რაოდენობრივი მაჩვენებლებისათვის გამოთვლილ იქნა საშუალო, საშუალო კვადრატული გადახრა. ხარისხობრივი მაჩვენებლებისათვის – აბსოლუტური და პროცენტული მნიშვნელობა.


ჯგუფებს შორის განსხვავება დადგინდა ხარისხობრივი მაჩვენებლებისათვის – F ფიშერის ზუსტი ტესტით, რაოდენობრივი მაჩვენებლებისათვის – სტუდენტის t კრიტერიუმის გამოყენებით; რაოდენობრივ ფაქტორებს შორის ურთიერთკავშირი დადგინდა კორელაციური ანალიზის საშუალებით – Pearson-ის ტესტით; შედეგები ითვლებოდა სარწმუნოდ, თუ  $p < 0.05$ . რეგრესიული ანალიზი ჩატარდა წრფივი რეგრესის გამოყენებით. B12 ვიტამინის სპეციფიურობა და მგრძნობელობა დადგინდა როგორც ანალიზის საშუალებით. მათემატიკური უზრუნველყოფა განხორციელდა პროგრამების პაკეტის – SPSS-23-ის გამოყენებით.

## საკუთარი მასალის დახასიათება

კვლევაში მონაწილეოდა 306 პაციენტი, (18-65 წელი, საშუალო ასაკი –  $37,6 \pm 11,3$ ; 87 – მამაკაცი და 219 ქალი).

განაწილება სქესის მიხედვით მოცემულია 1 დიაგრამაზე


დიაგრამა 1.



კვლევის შედეგების გაანალიზებით დადგინდა შემდეგი მონაცემები: ქალების რაოდენობა 2.6-ჯერ აღემატება მამაკაცების რაოდენობას, BMI-ს მიხედვით სარწმუნო განსხვავება არ აღმოჩნდა, TSH-ით დაყოფის მიხედვით: B12 ვიტამინის დეფიციტის მქონე პაციენტებში TSH-ის საშუალო დონე არის 3.9, ხოლო B12 ვიტამინის დეფიციტის არ მქონე პაციენტებში კი – 2.5, ხოლო თორეო-


იდპეროქსიდაზას მიხედვით ჯგუფებში დანაწილების დროს დაფიქსირდა, რომ – B12 ვიტამინის დეფიციტის დროს სარწმუნოდ მაღალია ანტი-TPO-ს საშუალო მნიშვნელობა (იხ.დიაგრამა 2).

**დიაგრამა 2.**



ვიტამინი D ს დონის მიხედვით დაყოფისას დადგინდა, რომ: B12 ვიტამინის დეფიციტის დროს სარწმუნოდ დაბალია D ვიტამინის საშუალო მნიშვნელობა (იხ. დიაგრამა 3).

### დიაგრამა 3.



მონაცემების დამუშავებით დადგინდა ასევე რომ: B12 ვიტამინის დეფიციტის მქონე პაციენტებში 25.8%-ში აღმოჩნდა გენეტიკაში ფარისებრი ჯირკვლის პათოლოგია, ხოლო B12 ვიტამინის დეფიციტის დროს გარეშე მქონე პაციენტებში დაფიქსირდა – 31.6%-ში. ამ გენეტიკური ფაქტორების მიხედვით სარწმუნო განსხვავება არ გამოვლინდა.

ჩვენი კვლევის მონაცემებით ასევე გამოვლინდა შემდეგი შედეგები: B12 ვიტამინის დეფიციტის მქონე პაციენტებში 44.7%-ში




აღმოჩნდა გენეტიკაში სიმსუქნე, ხოლო B12 ვიტამინის დეფიციტის დროს გარეშე მქონე პაციენტებში დაფიქსირდა – 52.3 %ში. არც ამ გენეტიკური ფაქტორის მიხედვით სარწმუნო განსხვავება არ გამოვლინდა.

ჩვენი კვლევის შედეგებით: კონტროლთან შედარებით პაციენტები AITD-ით ხასიათდებოდა (ანტი-TPO > 3.2IU/ml) შემდეგი პარამეტრების მნიშვნელოვნად მაღალი საშუალო მნიშვნელობებით: ანტი-TPO, TSH, D ვიტამინისა და B12 ვიტამინის საშუალო კონცენტრაცია იყო სარწმუნოდ მცირე.

AITD-თან შედარებით პარამეტრები ხასიათდებოდა (ანტი-TPO > 3.2IU/ml) შემდეგი ფაქტორების მნიშვნელოვნად მაღალი სიხშირით: თმის ცვენა, მტვრევადი ფრჩხილები, თავბრუსხვევა, ზოგადი სისუსტე, განწყობის ცვალებადობა, D ვიტამინის დეფიციტი, დიფუზური ჩიყვი, ჰიპოთირეოზი, ვიტამინ B12-ის დეფიციტი.

განაწილება კლინიკური ნიშნების მიხედვით მოცემულია დიაგრამა 4 ზე.

**დიაგრამა 4.**



B12 დეფიციტის დროს პაციენტები ხასიათდებოდნენ შემდეგი ფაქტორების სარწმუნოდ მაღალი სიხშირით: თმის ცვენა, მტვრევადი ფრჩხილები, თავის ტკივილი, თავბრუსხვევა, ზოგადი სისუსტე, განწყობის ცვალებადობა, D ვიტამინის დეფიციტი, AITD, დიფუზური ჩიყვი, ჰიპოთირეოზი, ანტი-TPO. < 3.2 სე/მლ).

რაც შეეხება ლაბორატორიულ პარამეტრებს, კონტროლთან შედარებით, პაციენტები B12 ვიტამინის დეფიციტით ხასიათდებოდა შემდეგი პარამეტრების მნიშვნელოვნად მაღალი საშუალო მნიშვნელობებით: ანტი-TPO, D ვიტამინის საშუალო კონცენტრაცია საკონტროლო ჯგუფთან შედარებით შემცირების მიუხედავად იყო ნორმის ფარგლებში.

რეგრესიის ანალიზმა აჩვენა, რომ ვიტამინი B12 და ანტი-TPO კონცენტრაციებს შორის დამოკიდებულება წრფივი და უარყოფითია. B12 საშუალო მნიშვნელობა უფრო დაბალია AITD-ის მქონე პაციენტებში და დეფიციტის ხარისხი მნიშვნელოვნად კორელაციაშია საპირისპიროდ AITD-თან. ეს მტკიცებულება ხაზს უსვამს ვიტამინის B12 დიაგნოსტიკურ და პროგნოზულ მნიშვნელობას AITD-სთვის.

ჩვენი კვლევით დადასტურებულია, რომ თუ B12 ვიტამინის კონცენტრაცია 178,9-ზე ნაკლებია, ეს მიუთითებს AITD-ის გამოვლინებაზე მაღალი მგრძნობელობითა და საშუალო სპეციფიკით, ხოლო რაც შეეხება ვიტამინ D-ს D ვიტამინის კონცენტრაცია, როგორც სადიაგნოსტიკო ტესტი, გამორჩევა დაბალი სადიაგნოსტიკო ღირებულებით.

## განხილვა

ვიტამინი B12 დეფიციტი ასოცირდება ჰემატოლოგიურ, ნევროლოგიურ და ფსიქიატრიულ გამოვლინებებთან და ასევე წარმოადგენს მაკროციტური ანემიის საერთო მიზეზს. ვიტამინი B12 დეფიციტის ნევროლოგიური შედეგები მოიცავს პარესთეზიას და პერიფერიულ ნეიროპათიას.

ვიტამინი B12 დეფიციტი ასევე ასოცირდება ფსიქიატრიულ დარღვევებთან, მეხსიერების დაქვეითებასთან, გაღიზიანებადობასთან, დეპრესიასთან, დემენციასთან და იშვიათად ფსიქოზთან. გარდა ამისა, ვიტამინი B12 დეფიციტი ასოცირდება: ფრჩხილების მტვრევადობასთან, მეხსიერების დაქვეითებასა და სისუსტესთან. ვიტამინი B12 დეფიციტი ასევე ასოცირდება მეხსიერების ცვლილებებთან, დაბნეულობასთან და ფსიქოლოგიურ პრობლემებთან. ჩვენმა კვლევამ აჩვენა, რომ ვიტამინი B12 დეფიციტი მნიშვნელოვნად ასოცირდება თმის ცვენასთან, ფრჩხილების მტვრევადობასთან, თავის ტკივილთან, სისუსტესთან, განწყობის ცვალებადობასთან, AITD-სთან და ჰიპოთირეოზისთან.

ვიტამინი B12 და D ვიტამინის დეფიციტი ასოცირდება აუტოიმუნურ ჰიპოთირეოზისთან და უარყოფითად არის დაკავშირებული ანტი-TPO ანტისხეულებთან AITD პაციენტებში. შრატში 25 (OH) D კორელირებს ფარისებრი ჯირკვლის აუტოიმუნურ დაავადებებთან, ისევე როგორც სხვა აუტოიმუნურ პროცესებთან. სხვა მტკიცებულებები ასევე ვარაუდობენ, რომ D ვიტამინის დეფიცი-

ტი ასოცირდება AITD-თან. ჩვენმა კვლევამ აჩვენა, რომ ანტი-TPO საშუალო დონე მნიშვნელოვნად გაიზარდა B12 ვიტამინის დეფიციტის მქონე პაციენტებში კონტროლთან შედარებით. უზომოზე გლუკოზის დონე ასევე ამადლებული იყო საკვლევ ჯგუფში, მაგრამ დარჩა ნორმალურ დიაპაზონში. ანალოგიურად, B12 ვიტამინის დეფიციტის მქონე პაციენტებში რკინის და D ვიტამინის საშუალო დონე უფრო დაბალი იყო, ვიდრე კონტროლში, მაგრამ მაინც ნორმის ფარგლებში. ჩვენმა კვლევამ ასევე აჩვენა, რომ ვიტამინი B12 დეფიციტი მნიშვნელოვნად იყო დაკავშირებული: D ვიტამინის დეფიციტთან, ანტი-TPO ( $>3.2$  სე/მლ), დიფუზური ჩიყვი, ჰიპოთირეოზი, თმის ცვენა, მტვრევადი ფრჩხილები, თავის ტკივილი, თავბრუსხვევა, ზოგადი სისუსტე და განწყობის ცვალებადობა.

D ვიტამინის დეფიციტი ადრე ასოცირდებოდა გუნება-განწყობის ცვალებადობასთან ხანდაზმულ პაციენტებში. ჰიპოთირეოზის ასოცირებული სიმპტომები და ნიშნებია: სისუსტე, ყაზობა, წონის მომატება, კარპალური გვირაბის სინდრომი, მენორაგია, დისფაგია, შეშუპება და კანის სიმშრალე. კვლევამ აჩვენა, რომ ანტი-TPO დონეები დადებითად იყო დაკავშირებული დიფუზურ ჩიყვთან, ჰიპოთირეოზისთან, თმის ცვენასთან, ფრჩხილების მტვრევადობასთან, თავის ტკივილთან, თავბრუსხვევასთან, ზოგად სისუსტესთან და განწყობის ცვალებადობასთან. დიფუზური ჩიყვი ასოცირებული იყო: გადატვირთულობასთან, განწყობის ცვალებადობასთან, მამრობითი სქესის და ჰიპოთირეოზის განვითარებასთან, ხოლო ჰიპოთირეოზი იყო დაკავშირებული ზოგად

სისუსტესთან. ხანდაზმული მოსახლეობა არ ავლენს B12 ვიტამინის დონის მნიშვნელოვან შემცირებას და არც გენდერული განსხვავებაა დონეს შორის. თუმცა, ჩვენმა კვლევამ აჩვენა, რომ ვიტამინი B12-ის აბსოლუტური მნიშვნელობები საპირისპირო კორელაციაში იყო: ასაკთან, უზმოზე გლუკოზასთან და ანტი-TPO, მაგრამ დადებითად არის დაკავშირებული D ვიტამინის დონესთან. AITD-ისა და ჰიპოთირეოზის სინშირე ორივე უფრო მაღალი იყო მსუქან პაციენტებში. თუმცა, არც შრატის TSH და არც ანტი-TPO დონეები არ არის დაკავშირებული მეტაბოლურ სინდრომთან. ჩვენმა კვლევამ აჩვენა, რომ ანტი-TPO დონეები მნიშვნელოვან კორელაციაშია BMI-სთან და ფარისებრი ჯირკვლის მოცულობასთან. ლიტერატურის მიხედვით, ვიტამინი B12 სკრინინგი რეკომენდებულია AITD დიაგნოზის დროს და შემდეგ პერიოდულად. თუმცა, არ არის საკმარისი მტკიცებულება B12 ვიტამინის რეგულარული სკრინინგისთვის ჰიპოთირეოზის მქონე პაციენტებისთვის, თუ მიზეზი არ არის AITD. ჩვენმა კვლევამ აჩვენა, რომ B12 ვიტამინის საშუალო დონე უფრო დაბალი იყო AITD-ის მქონე პაციენტებში. ამ აღმოჩენამ მიგვიყვანა აზრის ჩამოყალიბებაში ვიტამინ B12-ის დიაგნოსტიკური მნიშვნელობის შესახებ AITD-სთვის ჩვენს პოპულაციაში. აუტოიმუნური დაავადებები წარმოადგენს მინიმუმ 80 დაავადების ჯგუფს, რომლებსაც აქვთ საერთო პათოგენეზი: იმუნური შუამავლობით შეტევები სხეულის საკუთარ ორგანოებზე. დერმატოპათია, თმის ცვენა და ონიქოლიზი ხშირია AITD-ის მქონე პაციენტებში. რამდენიმე კვლევამ ასევე გა-

მოავლინა მნიშვნელოვანი კავშირი ფარისებრი ჯირკვლის აუტო-  
იმუნურობასა და ალოპეციას შორის. თავბრუსხვევის ჩივილები  
ასევე ხშირია ფარისებრი ჯირკვლის დაავადებებთან. ჩვენს კვლე-  
ვაში AITD-ის მქონე პაციენტებს ასევე აღნიშნებოდათ თმის ცვე-  
ნის, მტვრევადი ფრჩხილების და თავბრუსხვევის უფრო მაღალი  
სიხშირე, ვიდრე არა-AITD პირებს. მაზოკოპაკისმა და კოცირისმა  
აღნიშნეს მნიშვნელოვანი კავშირი D ვიტამინის დეფიციტსა და  
ჰაშიმოტოს თირეოიდიტს შორის. სხვა თანამშრომლებმა აჩვენეს,  
რომ D ვიტამინის დეფიციტი უფრო მეტად იყო დაკავშირებული  
ფარისებრი ჯირკვლის აუტოიმუნიტეტთან, ვიდრე ფუნქციურ  
დაქვეითებასთან. ჩვენს კვლევაში ასევე იყო D ვიტამინის დეფი-  
ციტის შემოთავაზება AITD-ის მქონე პაციენტებში. აუტოიმუნუ-  
რი თირეოიდიტი არის ჰიპოთირეოზის წამყვანი ეტიოლოგიური  
რისკის ფაქტორი აშშ-ში. ამ მდგომარეობის მაღალი სიხშირე ასევე  
დაფიქსირდა AITD-ის მქონე პაციენტებში ჩვენს კვლევაში.

აუტოიმუნური თირეოიდიტის მქონე პაციენტებს ემუქრე-  
ბათ ვიტამინის B12 დეფიციტის და პერნიციული ანემიის განვი-  
თარების რისკი. AITD-ის მქონე პაციენტებში აღინიშნება რკინის,  
ჰემოგლობინის და ვიტამინის B12 დეფიციტი. AITD პაციენტები  
ასევე მიდრეკილნი არიან ლიპიდური და ნახშირწყლების მეტაბო-  
ლიზმის დარღვევებისკენ. ჩვენმა კვლევამ აჩვენა უზომოზე გლუ-  
კოზის გაზრდილი საშუალო დონე AITD ჯგუფში.

მომავალი კვლევები მიმართული უნდა იყოს ვიტამინის B12  
როლის შემდგომი დადგენაზე AITD-ის სკრინინგსა და მონიტო-  
რინგში.

## დასკვნები

B12 ვიტამინის დეფიციტი არის ფარისებრი ჯირკვლის აუტოიმუნური დაავადების განვითარების ერთ-ერთი სავარაუდო მიზეზი.

ვიტამინი B12-ის დეფიციტი დადებით კორელაციაშია ფარისებრი ჯირკვლის აუტოიმუნურ დაავადებასთან.

D ვიტამინის დეფიციტსა და ფარისებრი ჯირკვლის აუტოიმუნურ დაავადებებს შორის სარწმუნო დადებითი კორელაციური კავშირი არ გამოვლინდა საქართველოს პოპულაციაში.



## პრაქტიკული რეკომენდაციები

B12 ვიტამინის დეფიციტის მქონე პირებში სისხლის შრატში უნდა განისაზღვროს თირეოიდპეროქსიდაზას ანტისხეულები, ვინაიდან B12 ვიტამინის დეფიციტი სარწმუნო დადებით კორელაციურ კავშირშია ფარისებრი ჯირკვლის აუტოიმუნურ დაავადებასთან, აქედან გამომდინარე ის შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც ფარისებრი ჯირკვლის აუტოიმუნური დაავადების პრედიქტორი.

B12 ვიტამინის დეფიციტიან პაციენტებში ხშირად უნდა ხდებოდეს ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციისა და სტრუქტურის კონტროლი (აქ მოიაზრებიან ის პირებიც რომლებიც იმყოფებიან B 12 ვიტამინს დეფიციტის რისკ ჯგუფში, როგორცაა: შაქრიანი დიაბეტი, მეტფორმინით თერაპია, ნაწლავთა სხვადასხვა პათოლოგიები).

ფარისებრი ჯირკვლის აუტოიმუნური დაავადებების მქონე პირებში სკრინინგულად უნდა განისაზღვროს B12 ვიტამინის დონე სისხლის შრატში.

B12 ვიტამინის კონცენტრაცია უნდა განისაზღვროს აუტოიმუნური თირეოიდიტის მქონე პაციენტებში, რადგან ამ დიაგნოსტიკურ ტესტს აქვს მაღალი მგრძობელობა და სპეციფიკა.

## შენიშვნა

აღნიშნულ კვევას აქვს შეზღუდვა, რადგან ჩატარებულია მხოლოდ ერთი კლინიკის ბაზაზე, აქედან გამომდინარე წარმოდგენილი შედეგების განზოგადება სხვა პოპულაციებისთვის არ არის მიზანშეწონილი, შესაბამისად საჭიროა უფრო ფართო მასშტაბიანი კვლევები რათა შევისწავლოთ ვიტამინების რეფერენსები და მათი გავლენა ფარისებრი ჯირკვლის აუტოიმუნური დაავადებების ეტიოლოგიაში.



Iv. Javakishvili Tbilisi State University

*With the right of manuscript*

**Tinatin Kacharava**

**Correlation between Vitamin B12 Deficiency  
and Autoimmune Thyroid Diseases**

**THESIS**

Of dissertation for the Academic Degree of PhD in Medicine

**Scientific advisor: Elene Giorgadze**

Tbilisi  
2022

# **Abstract**

## **Background**

Autoimmune thyroid diseases (AITD) are the most prevalent organ-specific autoimmune disorders. Vitamin B12 plays an important role in the proper functioning of the immune system. The aim of this study was therefore to investigate the correlation between vitamin B12 deficiency and AITD.

## **Methods and Materials**

A total of 306 patients (aged 18-65 years, mean –  $37.6 \pm 11.3$  years) and comprising 87 males and 219 females) were studied retrospectively (observational study).

Patients were divided into groups: with and without vitamin B12 deficiency, and with and without AITD. Differences between groups were evaluated by Fisher's exact test for qualitative variables and by Student's t-test for quantitative variables. Correlations for quantitative factors were determined by the Pearson correlation coefficient and for qualitative factors by Spearman correlation analysis. The sensitivity and specificity of vitamin B12 deficiency for AITD were calculated by ROC analysis.

## Results

The vitamin B12 level was significantly lower in patients with AITD (and  $200.70 + 108.84$ ) compared to controls ( $393.41 + 150.78$   $p < 0.0001$ )

